საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიგუსტიკუმი

ლიგუსტიკუმი, არაფის ლიგუსტიკუმი (Ligusticum arafoe Albov), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახიდან (Umbelliferae). კავკასიის იშვიათი ენდემური რელიქტური სახეობაა. საქართველოში მხოლოდ ჩრდ. აფხაზეთში (ბზიფის ქედი)გვხვდება, საქართველოს გარეთ – ჩრდ.-დას. კავკასიაში. იზრდება ზ. დ., 1600-2100 მ სიმაღლეზე ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში –კირქვიანებზე, ტყის პირას, მდელოებსა და მაღალბალახეულში. გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფებად. მრავლდება თესლით. აფხაზეთში ამ მცენარის სურნელოვან ფესვურებს ადგილ. მოსახლეობა იყენებს თამბაქოს არომატიზაციისათვის. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.